თსა-ს მწვანე დღის წესრიგის ძირითადი მიზნები

მდგრადობის პრობლემები, უფრო კონკრეტულად კი კლიმატის კრიზისი კვლავ რჩება საზოგადოების განვითარების მთავარ გამოწვევად. თსა-ს ინსტიტუციური სოციალური პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმას, რომ იმოქმედოს და განვითარდეს, როგორც მოწინავე ინსტიტუცია ამ მიმართულებით. ?ელი შეუწყოს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) განხორციელებას კოლექტიური ქცევის გზით.

თსა-ს მიზანია სტუდენტებს მისცეს შესაბამისი ცოდნა და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები თსა-ს მწვანე დღის წესრიგის შესაბამისად.

თსა-ს "გამწვანება" მიზნად ისახავს ინსტიტუციური ცნობიერების, ქცევისა და აქტივობების შეცვლას, გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადობის უფრო ფართო გამოწვევების გადასაჭრელად.

<u>მწვანე დღის წესრიგის მიზნები შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:</u>

1. კამპუსის გამწვანება
2. სასწავლო გეგმის გამწვანება და ტრენინგები
3. ინსტიტუციური კულტურის გამწვანება

<u>ძირითადი აქტივობები მიმართულებების მიხედვით:</u>

1. კამპუსის გამწვანება

- ქაღალდის გამოყენების მინიმიზაცია ციფრული ტრანსფორმაციის გზით, რომელიც მიიღწევა დოკუმენტების დამუშავების ელექტრონული მართვის სისტემით - eDocument, სასწავლო პროცესის მართვის ელ.სისტემებით - emis.tma.edu.ge, student.tma.edu.ge Moodle, ფინანსური აღრიცხვის პროგრამით - Oris, ფინანსური პარამეტრების და თანაფარდობის ანგარიშგების სისტემით - Power BI (Dashboard) და ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმით - Signify.
- ინკანდესენტური ნათურების შეცვლა LED ნათურებით
- კაფეტერიაში ვეგანური მენიუს არსებობა
- კაფეტერიაში ბიოდეგრადირებადი ლანჩ ყუთების არსებობა
- ქაღალდის ნარჩენების გადამუშავება
- პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება

2. სასწავლო გეგმის გამწვანება და ტრენინგი

- სოციალური და გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის სასწავლო კურსის ინტეგრირება მედიცინის სკოლის სასწავლო გეგმაში
- პლანეტარული ჯანმრთელობის ინტეგრირება მედიცინის სკოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგნის სილაბუსში

- პლანეტარული ჯანმრთელობა, როგორც ცალკე არჩევითი კურსი მედიცინის სკოლის სასწავლო გეგმაში
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დაწყება "გამოყენებით საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში", რომელიც ფოკუსირებულია გაეროს SDG-ის და პლანეტარული ჯანმრთელობის ცალკეულ კურსზე.
- ფაკულტეტის წევრების ნახშირბადის ნაკვალევის შემცირება ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში და ვებინარებში ვირტუალური მონაწილეობის გზით
- ადმინისტრაციის ნახშირბადის ნაკვალევის შემცირება საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებზე ვირტუალური მონაწილეობის გზით

3. ინსტიტუციური კულტურის გამწვანება

- სტუდენტებისა და პერსონალისთვის ჩართულობის შესაძლებლობების უზრუნველყოფა: ცნობიერების ამაღლების აქტივობები, როგორიცაა შეხვედრები, ლექციები და დისკუსიები, რომლებიც ხაზს უსვამს გაეროს SDG-ს და განსაკუთრებით გარემოსდაცვით საკითხებს.
- პარტნიორობა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც მუშაობენ გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის მიმართულებით (CENN, TENE, Sadagi, Vegan Georgia, Plant Based Treaty).
- მწვანე აქტივობები, როგორიცაა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციის რეგულარული დასუფთავება
- თსა-ს სტუდენტურ აკადემიაში ეკო კლუბის არსებობა
- სოციალური და კულტურული სტუდენტური პროექტების საგრანტო კომისიის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ექსტრაკურიკულურ სტუდენტურ ინიციატივებს და პროექტებს, რომლებიც ეხმიანება პლანეტარულ ჯანმრთელობას და/ან გაეროს SDG-ის მიზნებს აპლიკანტების სურვილის შესაბამისად.
- ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობებით მოხალისეობრივი კულტურის მხარდაჭერა